ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 16 სექტემბრის

სხდომის

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის

დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 16 სექტემბრის

სხდომის

ო ქ მ ი № 24

დ. ხარაგაული

16 სექტემბერი 2019 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - **მანანა ბარბაქაძე** - .საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ვარლამ ჭიპაშვილი - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ -ს თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ -ს თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“ -ს თავმჯდომარე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ჯაბა ბერაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ნანა კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

ლ. გოგოლაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის რედაქტორი“

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შემდეგი ნუსხა

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლისN5 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.37.501) კომპანია "Hunan Road and Brigde Consrtaqcion LTD"- სათვის , პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით (იჯარის ფორმით), სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფელ ღარიხევის ბრუისის უბნისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისა და მოწონების შესახებ.

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიუროს სხდომის დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვალადიმერ გელაშვილის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტის შედგენის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემულია ბრძანება კომისიის შექმნის თაობაზე, ამ კომისიის წევრი მეც დ საკრებულოს სხვა თანამდებობის პირებიც არიან. ბრძანების მიხედვით უკვე ჩატარებული უნდა იყოს რამდენიმე შეხვედრა და გარკვეული ღონისძიებები უნდა იდოს .არ მაქვს ინფორმაცია კომისიის საქმიანობის შესახებ.

-მაინტერესებს თუ გაქვთ გაკეთებული ბიუჯეტის შესრულების ანალიზი და დადგენილი შეუსრულებლობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

-მაინტერესებს საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის აზრი გაამართლა თუ არა ა.ა.ი. პირების რეორგანიზაციამ.

- აუდიტის შეფასებაში მწვავე კრიტიკა იყო ა.ა.ი.პირების მიერ შესყიდვების კანონის დარღვევის გამო, რა გააკეთა ამისათვის საფინანსო სამსახურმა.

-რას აკეთებთ ინვენტარიზაციის ჩასატარებლად.

ვ. გელაშვილმა უპასუხა, რომ კომისიის სხდომა არ ჩატარებულა, ამაში ჩემი პასუხისმგებლობაა და ჩემ თავზე ვიღებ, რაც შეეხება ინვენტარიზაციას ეს არის ძალიან რთული საქმე, ამას მარტო ჩვენ ვერ შევძლებთ ამიტომ მოლაპარაკება მაქვს აუდიტთან რათა ინვენტარიზაცია მათმა ჩაატარონ. თუ შემოსავალი არ შემოვიდა მე როგორ გავზრდი ბიუჯეტს, ძალიან იკლო ადგილობრივმა ჯარიმებმა, რადგან ბორითის ზონაზე ვიდეო თვალი გაგვიუქმეს ჩინური კომპანიის მიერ ავტობანის მშენებლობის გამო ამიტომ დამრღვევები ნაკლებად არიან შესაბამისად იკლო დაჯარიმების შემთხვევებმაც.

მ.ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ ერთ - ერთი ა.ა.ი.პირი ითხოვს 3 საშტატო ერთეულის დამატებას, როგორ უნდა მოხდეს ეს, როცა ბიუჯეტი არ სრულდება, ტრანსპორტთან დაკავშირებით წერილზე დღემდე რეაგირება არ მომხდარა ასევე მარტის თვეში ბორითიდან 3 მცირეწლოვანი ბავშვის მშობელმა ითხოვა გზის შეკეთება, ტრანსპორტი ვერ შედის, ითხოვენ 2 მეშოკ ცემენტს და ამბობენ, რომ თავის ძალებით შეაკეთებენ ამ მონაკვეთს, რა გახდა 2 მეშოკი ცემენტის ყიდვა.
ვ. გელაშვილმა აღნიშნა, რომ შტატებთან დაკავშირებით ა.ა.ი.პირის ხელმძღვანელმა ჩემგან მიიღო უარი, რაც შეეხება ტრანსპორტს ეს საკითხი ინფრასტრუქტურის სამსახურშია გადაგზავნილი.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ 6 თვეა მუნიციპალიტეტის მერს არ ჰყავს პირველი მოადგილე, არ სრულდება ინფრასტრუქტურული პროექტები, სამსახურის უფროსი საკრებულოში ამოსვლაზე უარს აცხადებს, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ვინც ამოვა ის დაინიშნოს სამსახურის უფროსად.

ი. მაღრაძემ დასვა შეკითხვა მომხსენებლის მიმართ, ეს საკითხები, რაზედაც აქ ვმსჯელობთ მერიაში თუ იმართება მსჯელობა და თუ აყენებს მერი წინადადებას რა უნდა გაკეთდეს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 07 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 07 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს საკრებულოს საფინანსო - საბიჯეტო კომისიას საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლისN5 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება შეეხება 3 და მეტი ტყუპის დაბადების შემთხვევაში ოჯახს გაეწიოს ფულადი დახმარება 1000 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ, დ. კიკნაძემ, ი. კელენჯერიძემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ 3 და მეტი ტყუპის დაბადების შემთხვევები ხარაგაულისათვის არის იშვიათი მოვლენა და დააყენეს წინადადება თანხა გაიზარდოს 1500 ლარამდე.

ბიუროს წევრები დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას და მომხსენებელს მიეცა მითითება წარმოდგენილი პროექტში აესახა ეს ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიუროს წევრთა ინიციატივით შემოთავაზებული ცვლილების გათვალისწინებით ანუ დახმარების თანხის 1500 ლარამდე გაზრდის თაობაზე საკითხის 2019 წლის 02 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 07 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, ჯ. ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.37.501) კომპანია “Hunan Road and Brigde Consrtaqcion LTD”- სათვის , პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით (იჯარის ფორმით), სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 07 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 07 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფელ ღარიხევის ბრუისის უბნისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისა და მოწონების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ინიციატორმა ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სოფელ ღარიხევში ჩატარდა მოსახლეობასთან შეხვედრა, არსებობს შეხვედრის ამსახველი ოქმი, ინიციატივა მისაღებია მათთვის და მიესალმებიან ბრუისის უბნისათვის სოფლის სტატუსის მინიჭებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 07 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 07 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგში.

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**